საინფორმაციო ბიულეტენი | ოქტომბერი

სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკური გაძლიერება

საბჭო აქტიურად მუშაობს სოფლად მცხოვრები ქალების ეკონომიკურ გაძლიერებასა და მეწარმეობის განვითარებაზე. ამ მიზნით, **15 და 16 ოქტომბერს** ნინო წილოსანმა რამდენმე შეხვედრა გამართა პარტნიორი უწყებებისა და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით მეწარმე ქალთა მენტორობის პროგრამის დასანერგად. შეხვედრაში მონაწილეობდნენ როგორც სოფლის განვითარების სააგენტოს, აგრეთვე სსიპ აწარმოე საქართველოში, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და პარტნიორი დონორი ორგანიზაცია GIZ წარმომადგენლები.

საბჭოს ვიზიტი გურიაში

13 ოქტომბერს ნინო წილოსანი გაეროს ქალთა ორგანიზაციის ახალ წარმომადგენელთან, კაორი იშიკავასთან ერთად გურიას ესტუმრა.
ვიზიტის ფარგლებში ისინი ორაგვესა და ჩიბათში ადგილობრივ მოსახლეობას ეწვივნენ, მათ შორის იმ ქალებს შეხვდნენ, რომლებიც ადგილობრივ დონეზე თემის პრობლემების გადაჭრაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ.

სამუშაო შეხვედრა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის შესახებ

20 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივით, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP Georgia) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის წარსადგენად.
შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც საქართველოს პარლამენტის წევრები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ექსპერტები და სამოქალაქო აქტივისტები, აგრეთვე სახალხო დამცველის აპარატის და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საბჭომ თემატური მოკვლევის ფარგლებში ზეპირი მოსმენები ჩაატარა

21 ოქტომბერს გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თემატური მოკვლევის ჯგუფმა „ქალთა უფლებები არაფორმალურ ეკონომიკაში და Covid-19-ის გავლენა მათზე“ საკითხის მოკვლევის ფარგლებში ზეპირი მოსმენები ჩაატარა.
ღონისძიებაზე შრომითი უფლებების გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელმა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა დასაბუთებული მოსაზრებები წარმოადგინეს.

ნინო წილოსანი სიტყვით ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის მმართველო კომიტეტის სხდომაზე გამოვიდა

21 ოქტომბერს ნინო წილოსანი სიტყვით გამოვიდა ევროპის საბჭოს 2020-2023 წლების სამოქმედო გეგმის მმართველი კომიტეტის შეხვედრაზე. მან ისაუბრა გენდერული თანასწორობის კუთხით საქართველოს მიერ უკანასკნელ წლებში განხორციელებული პროგრესის შესახებ და გამოკვეთა სტამბულის კონვენციის რატიფიცირების შედეგად განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების მნიშვნელობა.

საინფორმაციო ბიულეტენი | სექტემბერი

ვიზიტი თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრში

მიმდინარე თემატური მოკვლევის ფარგლებში, **25 ოქტომბერს** ნინო წილოსანი და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, გიორგი ხელაშვილი თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრს ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში ისინი ადგილზე გაეცნენ ცენტრის ბენეფიციარების საჭიროებებსა და კრიზისული ცენტრის საქმიანობის მიმართულებებს.

ფოტო: ვიზიტი კრიზისულ ცენტრში

სამუშაო შეხვედრა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტებისა და გენდერული გავლენის შეფასების ინსტიტუციონალიზაციის შესახებ

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ინიციატივითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, **26 ოქტომბერს**, სასტუმრო „რუმსში“ სამუშაო შეხვედრა გაიმართა.
ღონისძიებაზე განიხილეს როგორც საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტები ძალადობის მსხვერპლის სტატუსის გაუქმებისა და ქალწულობის შემოწმების პრაქტიკის შესახებ, აგრეთვე საკანონმდებლო საქმიანობაში გენდერული გავლენის ინსტიტუციონალიზაციის (GIA) კონცეფცია.

თანამშრომლობის გაღრმავება საერთაშორისო პარტნიორებთან

საბჭომ თანამშრომლობა დაამყარა ევროკავშირის ახალი პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფთან (EU4GenderHelpDesk)“. **26 ოქტომბერს** საბჭოს წევრები აღნიშნული პროექტის წარმომადგენლებს შეხვდნენ და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებზე ისაუბრეს. ტექნიკური დახმარების ჯგუფის (The HelpDesk) მუშაობის მიზანია გენდერული თანასწორობისა და ინკლუზიურობის გაძლიერება, გადაწყვეტილების მიღების, რეფორმების განხორციელებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში გენდერული ანალიზის ინტეგრირების გზით, ქალებისა და კაცებისთვის თანაბარი შედეგების უზრუნველსაყოფად.